

# ՃԱԾԿԻ ՇՐՋԱՎԵՐ



ՁԵՐՆՅԸ ԽՄԱՆ



ეძლვნება ჩემ შვილიშვილებს.  
ნიგნში გამოყენებულია  
შვილიშვილების ელექტრ და  
ანასტასიას ნახატები.

პეტრ ჭავჭავაძე

ყდა – სპარგაკ კაჭარავა  
რედაქტორი – ლია სულაქველიძე  
დაკაბადონება – ზავრა ბანცური

ISBN 978-9941-0-3831-0


თბილისი • 2011

## ფისუნია

ელენიკომ დამიხატა  
ფისუნია გასაკვირი,  
ორი ყური, ორი თვალი,  
პირთან ერთად დიდი ცხვირი.

ორი ფეხი, ორი ხელი,  
ულვაში აქვს ცოტა გრძელი,  
კუდი? კუდი არსად არ ჩანს,  
სად წავიდა საძაგელი?

უცებ მივხვდი – პატარაა,  
დაელალა ალბათ ხელი.



## ბოსტნეული


ჩვენებური ბოსტნეულის  
ღირსეული სამეული,  
კეკლუცობს და ბავშვების წინ  
თავს იწონებს თვითეული.

კომბოსტო ვარ ასფურცელა,  
წონადი და დიდმუცელა,  
უამრავი კერძისათვის  
მე მომიხმარს ირგვლივ ყველა.

სახელად ვარ ბადრიჯანი, –  
მე მაქვს მოგრძო, ლურჯი ტანი,  
იმ წამშივე გავთეთრდები,  
თუ გამაძრო ვინძებ კანი.

ალისფერი სფაფილო ვარ,  
თვისება მაქვს გასაკვირი –  
ყველა ბავშვის სწრაფად ბრდაში  
საკმაოა ჩემი წვლილი.

მართალია, მართლია, –  
დაიძახეს ერთად ყველამ,  
შენი ფასი კარგად იცის  
კურდლელმაც კი ღორმუცელამ.





## რატომ?

რატომ არის წყალი სველი?  
თოვლი ცივი, ცეცხლი ცხელი?  
ასეთ კითხვებს გისვამს ბავშვი,  
როცა ამას სულ არ ელი.  
მოდი და ნუ დაიბნევი,  
პასუხი თუ არ გაქვს მხსნელი.

## წრაუნიას ნატვრა


ყურშა ფისოს გამოუდგა  
გაუხეთქა კვლავაც გული,  
ყეფვა-ყეფვით მოატარა  
ყველა კუთხე და კუნჭული.

ამის მოწმე წრუწუნას სწვავს  
შურნარევი სიხარული,  
ეგებ ყეფა მეც ვისწავლო,  
მოხდეს ერთ დღეს სასწაული.



# მარტორქა

ეს მარტორქა მარტოხელა  
ბომითაა სახლის ხელა,  
ლომი,  
ვეფხვი,  
გოგჯერ სპილოც,  
მას გბას უთმობს ირგლივ ყველა.




## ხუთი გოჭი

საღორეში დედა ღორმა  
ხუთი გოჭი გააჩინა,  
როგორც ბოლო, ისე წინა  
ერთნაირად პაწაწინა.

დიდმუცელა,  
სასაცილო,  
წონით ზუსტად თითო კილო,  
დილიდანვე გოჭუნები –  
ორი ძმა და მათი დები,  
ცდილობენ რომ ძუძუსთან  
დაიჯავშნონ ადგილები.

ეს არ არის უქმი გარჯა,  
ეს წესია და ადათი,  
რათა შემდეგ აღარ ატყდეს  
ერთურთ ლანძღვა და კამათი.



# სანკალი ზეტო

პაწაწუნა მოკლე კაბით  
არ ასვენებს ბებოს წამით,  
ხან ბალახზე წამოწვება,  
ხან ბუჩქებში ჩაცეცქდება,  
მის ძახილზე არ პასუხობს  
უდროო დროს სადღაც ქრება.

ბებო დადის და დაეძებს,  
ყველას ირგვლივ ეკითხება,  
მის გარშემო ხალხი ღელავს,  
კითხულობენ თუ რა ხდება.

მოდით ერთად, პატარებო,  
დავამშვიდოთ ჩვენი ბებო,  
ვურჩიოთ, რომ იქნებ მანაც  
ინუგემოს ერთი რამით:  
რომ ამ ქვეყნად ყველა ბებო  
თავს ეკუთვნის მხოლოდ დამით.



## ნიღოსი

ეს მდინარე ნიღოსია,  
განიერი, ღრმა და გრძელი,  
მასში წყალი უამრავი  
მღვრიეა და ძლიერ სველი.

შიგ ცურავენ ნიაგნები,  
დიდები და პატარები,  
მათი დები, მამიდები,  
მშობლები და ტყუპი ძმები.

შორიახლოს ბეჭემოფი  
შვილთან ერთად თბება მჩებე,  
ხან დატუქსავს ონავარ შვილს,  
ხან შეისვამს უკან მხრებზე.

ნაპირებთან უხვად დგანან  
კუბიანი აქლემები,  
დიდყურება სახედრები  
არნახულად თეთრი თხები.

ასეთია ეს მდინარე  
განიერი, ღრმა და გრძელი,  
მასში წყალი უამრავი  
მღვრიეა და ძლიერ სველი.





## აფრიკა

აფრიკაში ნაშუადღევს  
ისე ცხელა, ისე ცხელა,  
ცხოველია თუ ფრინველი  
ჩრდილს დაეძებს ირგვლივ ყველა.

მარტორქები,  
კამეჩები,  
ლომი,  
ვეფხვი,  
ანტილოპა.

ოცნებობენ, იცი რაზე? –  
ღრუბელი რომ გაჩნდეს ცაზე.

# ძველი ყბანში

ძველ უბანში ყოველ დილით  
ტარო მოდის კარგოფილით,  
ცოტა ხანში ჰუსეინაც  
გამოჩნდება თავის ხილით.  
თელეთიდან რძეს და მაწონს  
ეზიდება გიო ვირით,  
აბა ჩქარა, ჩქარა მოდით,  
მომარაგდით მთელი კვირით,  
ყველა დიდი ირგვლივ ვაჭრობს,  
პატარა კი ხარობს ვირით.

## ხშირად ლამით

ამბობენ, რომ ხშირად დამით  
ბავშვთან ბუსფად ასი წამით  
ჩნდება მისი ანგელობი  
ჯადოსნური მოსასხამით.



წყნარად თავთან დაუჯდება,  
პირჯვარს დასწერს, ეფერება,  
დააბერტყავს ფერად სიბმრებს  
და ლანდივით უმაღ ქრება.

## ტყუპტერი

მერხბე ერთად ორი ძმა გის  
ერთმანეთის ტყუპისცალი,  
ერთს ძალიან უყვარს ვაშლი,  
მეორეს კი მწიფე მსხალი.

ერთი სუფთად ჩაცმულია,  
კოხტად არის დავარცხნილი,  
ჩანთაც მუდამ წესრიგში აქვს,  
იცის ყველა გაკვეთილი.

მეორე კი იკვნეტს ფრჩხილებს,  
არ იხეხავს დილით კბილებს,  
მასწავლებელს არ სცემს პატივს,  
ხშირად აცდენს გაკვეთილებს.

ასეთია ეს ორი ძმა,  
ერთმანეთის ტყუპის ცალი,  
ერთ-ერთს კვლავაც ვაშლი უყვარს,  
მეორეს კი მხოლოდ მსხალი.



## მხიარული ოჩევა

თუკი ძაღლი ცდილობს კბენას,  
ნუ აჩვენებ, გირჩევ, ენას,

გადაუგდე დიდი ძვალი,  
თან ისე, რომ მოკრას თვალი.

თუკი ესეც არ გიშველის,  
მაშინ ვაი შენი ბრალი.



## გოგი

როცა ვეტყვი – იატაკბე  
ნუ დადიხარ ფეხშიშველი,  
პასუხს მაძლევს – ერთი თვეა  
აღარ მტკივა, ბაბუ, ყელი.

რაც არ უნდა შესთავაზო –  
მწარე, მჟავე, თუნდაც ტკბილი,  
სახეს მანჭავს, ერთადერთი  
უყვარს მხოლოდ კარტოფილი.

თუკი დაჯდა კომპიუტერთან,  
ავიწყდება ყველაფერი,  
ბიჭო, თვალებს გაიფუჭებ,  
დამიჯერებს? შენი მტერი.

ასეთია ბიჭი გოგი,  
არც თუ ცუდი შვილიშვილი,  
ვიცი, ბაბუც ძლიერ უყვარს,  
მაგრამ უფრო – კარტოფილი.



## მურია

ერთი ფიქრი მურიას  
არ ასვენებს თავში,  
ჭამის დროსაც,  
ძილის დროსაც,  
სახლშია თუ კარში.

სურს პატრონი დაიცვას,  
ის და მისი ქონება,  
ამ აზრს ემსახურება  
მუდამ მისი გონება.

ბაბუამისს, დიდ მურას,  
ერთხელ თურმე უთქვია:  
ჩვენი ბედი ძალლური  
არც თუ ისე ცუდია.

ვიცით რისთვის ვარსებობთ  
და რა დასამალია,  
როცა ძალლი არ ვარგა,  
ეს პატრონის ბრალია.



## მამალი

ხმა ჩაუწყდა, ვეღარ ყვირის,  
წახდა ჩვენი მამალიო,  
კრუხი ღელავს, რა ვუშველო,  
სად ვუშოვნო წამალიო.

ის კი, დახე, გამოკეთდა  
და მოვიდა ღონებე,  
ფრთა ფრთასა ჰკრა, შემოჰკივლა  
და აფრინდა ღობებე.





## კონცერტი

განცხადება გაჩნდა ხეზე, —  
კონცერტია შუალლებე.  
სალამურბე უკრავს მელა,  
იმედია, მოხვალთ ყველა.

ჭრიჭრინები ჭრიჭრინებენ,  
ერთმანეთში ნიძლავს დებენ,  
ასეთი რამ ადრე ტყეში  
არ მომხდარა თავის დღეში.

როგორც მთაბე, ისე ბარში  
ირგვლივ ყველა გარბის სახლში,  
პატარები პირს იბანენ,  
მოხუცები წამლებს სვამენ.

ერთადერთი დაძრწის მგელი,  
ჩაშლას ლამობს საძაგელი,  
არ გაგივა ეგ ხრიკები,  
შე ბოროტო, ცუდო მგელო,  
ხარბო, ბრიყვო, ღორმუცელავ,  
სანიმუშოდ დაისჯები.


## გაფიზვა

მთელი ებო გაიფიცა,  
დაიწერა მოთხოვნები,  
სხედან, ბჭობენ და დასახეს  
მომავალი ბრძოლის გზები.

ძალლი ჭიშკარს აღარ იცავს,  
აღარც თაგვებს დასდევს კატა,  
ძროხა რძეს არ იწველება,  
მას კამეჩიც დაემატა.

მამალს მკერდზე წარწერა აქვს:  
რაც ვიყვირე, ისიც კმარა.  
სახედარიც აქლემივით  
იფურთხება წარამარა.

ბატი ბულბულს ნიავს აფანს,  
ქათამიც წყვეტს კვერცხის დებას,  
აღარც იხვი დგება განზე,  
უერთდება ამბოხებებს.



მეორე დღეს გარიერაჟბე  
უცებ ლორი დადგა უარბე:  
რის გაფიცვა, რა გაფიცვა,  
გამთარი დგას, ძმებო, კარბე.

ისევ ერთად შეიკრიბა  
ირგვლივ ყველა თანასწორი,  
იმსჯელეს და გადაწყვიტეს,  
რომ მართალი არის ლორი.

## ჭარია და მარწყვი

ჩვენს ტასიას მარწყვი უყვარს,  
დედიკო კი უშლის ჭამას,  
ბავშვი ღელავს, — თავად თუ ჭამს,  
რა უფლებით ჩადის ამას?!

## ყილწლო ქელა

მელაკუდას მამლის ხმაზე  
გაეღვიძა ბუსტად რვაზე.  
ადგა, მწარედ ჩაახველა —  
კვლავ ვერ არის გუნებაზე.  
გუშინ დედალს რომ მისდევდა,  
მოუცერდა ფეხი ქვაზე.



## ვის ოა უყვარს

თევზებს – წყალი,  
ჩიტებს – ფრენა,  
ფეტქრებს – მინდვრის ყვავილები,  
მურიკელას – ხაჭაპური,  
მის მამიკოს – დიდი ძვლები.

შენ, ელენე?

- არაფერი.
- ეს პასუხი რა წესია?
- რა ვქნა, ბაბუ, რაც მიზიდავს,  
მხოლოდ ყიდვის პროცესია.



# პროფესიონალი

ინტერნეტი გაჩნდა ცნობა,  
უჩვეულო, გასაკვირი,  
საღლაც ერთად შეიკრიბა  
უამრავი ბლაპრის გმირი.

სურვილი აქვთ დააფუძნონ  
საკუთარი პროფესიონალი.  
ამას მოჰყვა ბევრი კითხვა,  
მათგან ორი უფრო ხშირი:

რისთვის ხდება ეს თავშეყრა  
და რაშია გასაჭირი.  
წამითაც არ დაბნეულა  
თვითეული ბლაპრის გმირი.

უმალ გასცეს მათ პასუხი  
ნათელი და პირდაპირი, –  
აღარავის არ ვუნდივართ,  
თაროებზე უქმად ვგდივართ.

დღეს ბავშვისთვის ვინც არსებობს,  
მხოლოდ ჰარი პოტერია,  
მან დაღუპა ჩვენი საქმე,  
ჩაგვწიხლა და მოგვერია.

ვიღას ახსოვს ჩიპოლინო,  
ფიფქია და ბურატინო,  
კარაბასი-ბარაბასი  
ღმუის, როგორც კონფრაბასი.  
აბლაბუდა მჭამს და მახრჩობს,  
კაპიკია ჩემი ფასი.

უმალ თოვლის დედოფალმა,  
მას შეახო კვერთხი შუბლზე –  
ისე მოსთქვამ, გეგონება  
ჩემებრ დნები გაზაფხულზე.

ბევრი თქვეს და იწუწუნეს,  
მოიოხა ყველამ გული,  
თუმც სიმართლე სხვაგვარია  
უცხო თვალით დანახული.



## ომი

ღია ფერის ტარაკნებმა  
შეაგროვეს დიდი ჯარი,  
შავთა ციხეს შეუტიეს,  
შემოარტყეს ირგვლივ რკალი.

მეციხოვნეთ მკაცრად სთხოვენ,  
დანებდნენ და გახსნან კარი,  
ურჩობაზე არც იფიქრონ,  
თორემ ვაი მათი ბრალი.

უმალ ციხის დიდ დარბაზში  
შეიკრიბა მრჩეველთ კრება,  
სხედან,  
ბჭობენ,  
კამათობენ,  
ერთურთს სიტყვას არ უთმობენ,  
ვერაფერზე რიგდებიან  
ერთის გარდა.


მომხდურის ამ შემოტევას  
ვუპასუხოთ ერთად დგომით,  
ისე მტკიცედ, ისე მყარად,  
როგორც შარშან შემოდგომით.

მუდამ მთვრალმა  
ჯარის თვალმა,  
მფრის მთავარმა გენერალმა,  
პასუხი რომ მოახსენეს,  
დაიკივლა როგორც ქალმა:

შეუტიეთ,  
დაწვით,  
მოსპეთ,  
ქვა ქვაბეც კი არ დატოვოთ.

გადატენეს დამბაჩები,  
თოფები და ზარბაზნები,  
აფყდა სროლა და ყიჟინა,  
შებანბარდა ირგვლივ მთები.

უმალ გაჩნდნენ თაგუნები,  
მოჭიკჭიკე ჩიტუნები,  
ქათმები და ინდაური,  
გომბეშო და მისი ძმები.  
თუ რა მოჰყვა მათ სტუმრობას,  
დღემდე დადის ირგვლივ ხმები.



## კარგი ბავშვი

გინდა იყო კარგი ბავშვი,  
პატივი გცეს ირგვლივ ყველამ, –  
დედამ,  
მამამ,  
თოჯინებმა,  
ფისომაც და ღორმუცელამ?

მაშინ კვლავ ნუ ინაგები,  
საბნის ქვეშ ნუ იმალები,  
სწრაფად ადექ და ჩქარი სვლით  
აბაზანას მიაშურე.

იქ შენ გელის ყველა ბავშვის  
ოთხი დიდი მეგობარი –  
პირსახოცი, სავარცხელი,  
საპონი და ცივი წყალი.



# გამორანები

1. არჯ არავის დაუხაზავს  
ასეთია მტრის ჭინაზე,  
გარეგნულად სახეფარს ჰეგავს,  
მაგრამ ყვირის სულ სხვა ხმაზე.



2. გარეგნულად რომ უყურებ,  
ანძასა ჰეგავს,  
დაარიკებს აფრიკაში,  
ოთხი ფეხით მიწაზე დგას,  
თავი კი აქვს ლამის წაში.

**3.** ძალიან რომ უყვარს თხილი,  
აშიცომავ არის ფრთხილი.  
წფილობს ისე აკნაჭუნოს,  
არ დაუფრთხოს ფისოს ძილი.



**4.** გაჩნდება და არვის ინფობს,  
არქ ხორჯი აქვს და არქ ძვალი,  
მისი მსხვერპლი როგორ ტყეა,  
ისე მინფვრის მოსავალი.






**5.** ქუჩის პირზე ონავარი  
მეტსახელად „ხო და არა”,  
გვიძაფუნებს ფერად თვალებს  
და გვაფრთხილებს ნარაშარა.

**6.** გრძელი კუჭი ძლიერ შვენის,  
ყურები აქვს აუკვეჭილი,  
საქათმეში ყველა უფრთხის –  
კრუხია თუ მისი შვილი.



**7.** კუფერინა წონით კილო,  
შატარა და სასაფილო,  
როგორც მავშვი ორი კვირის,  
თუ მარტოა, ისიც ჭირის.




**8.** ბებო ნიგოზს აწვამს ძაფზე,  
ამოავლებს თათარაში,  
თოკზე კიდებს, გამოაშრობს,  
მწყობრად აწყობს ჭომარაში,  
რომ ახალ ნელს თოვლის შაბუტ  
მოგვიფანოს შავშვებს სახლში.



ბაბუს ღეჭვები

მერაბ ჯაიანი

დაიბეჭდა მშს „გამეოთ საქართველოს მაცნეში“  
თბილისი, რობაქიძის ქ. №7.



ISBN 978-9941-0-3831-0

A standard linear barcode representing the ISBN number.

9 789941 038310